ქვეპროგრამის აღწერა	<p>„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1750 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 559 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია. "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების" პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება საქართველოს მოქმედი კანონდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი	2022 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
04 03			50,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი		
პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მოსწავლეების პროფესიული დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩართულობა, ასევე ხელშეწყობა მოსწავლეთა გონივრული დასვენებისა და თავისუფალი დროის სწორად გამოყენებისათვის.		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოსწავლეთა პიროვნული და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. აუმაღლდეს აზროვნება, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევები, შეექმნას და გაუმყარდეს საფუძველი პროფესიის არჩევის, დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის.

კოდი	პროგრამის დასახელება	ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება	
			ათას ლარში	
04 05			377,0	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, რომელსაც ძირითადად აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. 2021წელს ექსპლუატაციაში შევიდა სოფ. გურჯაანის საბავშვო ბაღი. სამუშაოები უზრუნველყოფს მოზარდთა სუფთა და კომფორტულ გარემოში ყოფნას. ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული იქნება საბავშვო ბაღების სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები, შემდგომ სამუშაოების ჩასატარებლად, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოზარდთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სკოლამდელი აღსაზრდელების კომფორტულ გარემოში ყოფნა და კმაყოფილი მოსახლეობა.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2022-2025წელი	2022.წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
		ზღვრულ დაფინანს ფარგლებ	ზღვრულ დაფინანს ფარგლებ	ზღვრულ დაფინანს ფარგლებ	ზღვრულ დაფინანს ფარგლებ	ზღვრულ დაფინანს ფარგლებ
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	12364,0	3017,0	3062,0	3115,0	3170,0
05 01	სპორტული სფეროს განვითარება	4005,0	1005,0	950,0	1000,0	1050,0
05 01 01 07	ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება	3705,0	1005,0	850,0	900,0	950,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	300,0	0	100,0	100,0	100,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	7472,0	1935,0	1842,0	1845,0	1850,0
05 02 01 01	ააიპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა	177,0	40,0	42,0	45,0	50,0



05 02 01 03	ააიპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი	2520,0	720,0	600,0	600,0	600,0
05 02 01 08	ააიპ ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი გურჯაანი	198,0	48,0	50,0	50,0	50,0
05 02 01 10	ააიპ მრავალჯამიერი1	780,0	180,0	200,0	200,0	200,0
05 02 01 11	ააიპ გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება	1922,0	632,0	430,0	430,0	430,0
05 02 01 15	ააიპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანება	1275,0	315,0	320,0	320,0	320,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	600,0	0	200,0	200,0	200,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული პროგრამების ორგანიზება	600,0	0	200,0	200,0	200,0
05 05	ტელე რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	285,0	75,0	70,0	70,0	70,0
05 00	სულ პრიორიტეტი	12364,0	3017,0	3062,0	3115,0	3170,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1050,0	950,0	900,0	1050,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "გურჯაანის სპორტული გაერთიანება" (პროგრამული კოდი 05 01 01 07)					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანების მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული აღზრდა--დაოსტატება, რაც შეძლება მეტი ბავშვის მოწყვითოს ქუჩას და ჩააბას სპორტულ წრეებში, ააიპ გურჯაანის სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 46 წრე საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლებით: ფეხბურთი 9 ჯგუფი 199 მოსწავლით,ჭადრაკი-3 ჯგუფი- 57 მოსწავლით,ცურვა-3 ჯგუფი-60 მოსწავლით, ფრენბურთი-3 ჯგუფი 61 მოსწავლით,კალათბურთი -2 ჯგუფი 24 მოსწავლით,მალოსნობა- 1 ჯგუფი 16 მოსწავლით, კიკბოქსინგი-1 ჯგუფი 18 მოსწავლით,რაგბი-1 ჯგუფი 28 მოსწავლით ბადმიგტონი-1 ჯგუფი 12 მოსწავლით, კრივი-5 ჯგუფი 85 მოსწავლით,კარატე-3 ჯგუფი 52 მოსწავლით, თ. ჭიდაობა 7 ჯგუფი89 მოსწავლით, მიუდო -5 ჯგუფი 83 მოსწავლით .ქ. ჭიდაობა- ჯგუფი 13 მოსწავლით და 1 ჯგუფიბერძნულ -რომაული ჭიდაობის ჯგუფი 12 მოსწავლით. სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 94 თანამშრომელი, აქედან 46 მწვრთნელ- მასწავლებელია. დაგეგმილია სასკოლო სპარტაკიადა, მხიარული სტარტები, სოფლად სპორტული აქტივობების გამართვა, ასევე მოეწყობა ქუჩის კალათბურთში ტურნირები.</p> <p>ქვეპროგრამის ახალი გამოწვევაა რაგბის გუნდის ჩამოყალიბება როგორც გოგონების ასევე ბიჭების, დღეისმდგომარეობით ხდება მოზარდების შერჩევა, მსურველთა რიცხვი დიდია . პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; - მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. -გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. 					



მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის დაინტერესებასა და ჩართვას კულტურულ ღონისძიებებში, შექმნილია სხვადასხვა დარგობრივი ააიპები სადაც მოზარდები ეუფლებიან სხვადასხვა ხელოვნებას

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ააიპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		40,0	40,0	40,0	40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მოსწავლეთა კლასიკური და თანამედროვე მიმართულებების სამხატვრო და სახვითი ხელოვნების განათლების უზრუნველყოფა, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ბავშვების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენების მოწყობა.</p> <p>სამხატვრო სკოლაში არიან სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებიც, რომელთაც უჭირთ სწავლის გადასახადის გადახდა. ასეთი ბავშვებისთვის 2022 წელს სასურველია გამოიყოს დაფინანსება. მოსწავლეები დაინტერესებული არიან ხატვის ხელოვნებით, განსაკუთრებულ სურვილს გამოთქვამენ გამოყენებითი ხელოვნების(ქსოვა, ქარგვა, გობელინი, ხეში კვეთა) მიმართ. არიან ბავშვები , რომელთაც უნდათ აკადემიაში სწავლის გაგრძელება და მათ ძირითადად აინტერესებთ გრაფიკა, კომპოზიცია და ფერწერა.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - მოზარდების ჩართვა ხელოვნების სახეობებში. - გამოფენების მოწყობა - გამოვლენილი ნიჭი და შესაძლებლობები. 					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		720,0	600,0	600,0	600,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შვიდი კულტურის სახლი, სადაც ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული და ფოლკლორული წრები, ბავშვთა თეატრალური ჯგუფი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი.</p> <p>აღნიშნულ ანსამბლებსა და წრებში მონაწილეობს 1300 ბავშვი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარუზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდა.</p> <p>მუნიციპალიტეტში 2021წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით განახლდა და რეაბიტირდა კულტურისა და დასვენების პარკი 3 840,0ათ ლარი ღირებულებით. პარკს უნიკალური მდებარეობა უკავია, ათეული წლებია უმოქმედო, აბალახებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მნიშვნელოვანი როლი ექნება ყველა ასაკის მაცხოვრებლისთვის თავშეყრის, კულტურული, სპორტული და ტურისტული დატვირთვით. სამუშაოს მიღება-ჩაბარების შემდეგ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება პარკის მოვლა პატრონობის და ახალ- ახალი გამწვანების სამუშაოებისთვის თანხები. დაიგეგმა: ქალთასაერთაშორისო დღისადმი, 9აპრის გარდაცვლილთა ხსოვნის, 9მაისს მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ასევე ჩატარდება ეროვნული სამოსის დღე, 26 მაისსაქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთადაცვის დღესადმი მიძღვნილი ღონისძიება, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის ღონისძიება, გაიმართება წლის განმავლობაში თეატრალური საღამოები. გაიხსნება მემორიალური დაფები 2008წლის და აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	- მოზარდების მაქსიმალური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში					



- ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი " გურჯაანი "	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 08		48,0	48,0	48,0	48,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი " გურჯაანი "					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ანსამბლი მონაწილეობას ღებულობს მსოფლიო ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ამიტომ ანსამბლისთვის საჭიროა ახალგაზრდა მოცეკვავეთა რაოდენობის გაზრდა, მუსიკალური ბენდის გაზრდა, ძველი ხალხური ინსტრუმენტების მოძიება შიშნა, ეროვნული კოსტიუმების განახლება შექმნა და ანსამბლის ტრანსპორტირება საქართველოში. უტარდება შემცენებითი სემინარები ქართული ხალხური მირძველი ქორეოგრაფიული ხელოვნების მოძიება განვითარებისათვის. ეწყობა შეხვედრები კახეთის ყველა კუთხეში უხუცეს ადამიანებთან, ვისაც შეხება ჰქონიათ ძველ ქართულ ცეკვასთან, ძველი ელემენტების ამოღება განვითარებასთან დაკავშირებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ღონისძიებებსა და კონცერტებში მონაწილეობის მიღება და ახალგაზრდობის კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის უზრუნველყოფა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<p>- ძველი ტრადიციების შენარჩუნება</p> <p>- ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვა</p>					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ააიპ მრავალჯამიერი-1	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 10		180,0	200,0	200,0	200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ანსამბლი მრავალჯამიერი-1					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ „მრავალჯამიერი1“ დაქვემდებარებაში შედის 2 ანსამბლი: ანსამბლი „გურჯაანი“ და ლევან მულაშვილის სახელობის ბიჭუნათა ანსამბლი. ხალხური სიმღერისა და გალობის რაიონული სკოლა, რომელიც ემსახურება ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას და მათ სწორად აღზრდას. ააიპ „მრავალჯამიერი 1“ მიზანია მოზარდი თაობის დაინტერესება ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლით. ანსამბლების ჩამოყალიბება, სწორად და ხარისხიანად სწავლება, რათა მათ შეძლონ ქვეყნის შიგნით და გარეთ ჩატარებულ ფესტივალებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა და ტრადიციული ხალხური სიმღერისა და გალობის მომავალი თაობისთვის გადაცემა და პოპულარიზაცია. გაიხსნა და იგეგმება ახალი წრეები სოფელ ვაჩნაძიანში, ვაზისუბანში, ველისციხეში, ბაკურციხეში, კარდენაში და კაჭრეთში, რათა ხალხური სიმღერის შესწავლის მსურველი ბავშვებისთვის, რომლებისთვისაც რთულია გურჯაანში სიარული, ხელმისაწვდომი იყოს სწავლა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხალხური სიმღერის და გალობის სწავლის მსურველთა რაოდენობის გაზრდა და კარგ მომდერლად ჩამოყალიბება, ფესტივალებსა და კონკურსებზე მიღებული პრიზების რაოდენობა, ბავშვთა სწავლების დონის შეფასებით მშობლების კმაყოფილების დონის გაზრდა. სწავლის ხელმისაწვდომობა.</p>					



მოსალოდნელი შედეგი	- ხალხური სიმღერის შესწავლის ხემისაწვდომობა ყველა მსურველთათვის - ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობა
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 11		632,0	430,0	450,0	450,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება
--	---------------------------------------

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 მუნიციპალური მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა. მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 26967 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 4234-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 141875 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 6000 მოსახლე. ქვეპროგრამის მიზანია - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით უზრუნველყოფა.</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვენტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა. ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ასევე ჩატარდეს ახალგაზრდული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, გურჯაანში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.</p> <p>გაიმართება სასკოლო ღონისძიება რა?სად?როდის? რაც დამთავრდება რეგიონალური ღონისძიებით. ჩატარდება საგანმანათლებლო კვირეული, ახალგაზრდული ფორუმი, აკათონი. გაიმართება ახალგაზრდებისთვის საჯაროდ გამოსვლისა და დებატების ტექნიკის სწავლება. ასევე ჩატარდება მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი.</p> <p>ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). ქვეპროგრამის მთავარი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა, რომ დავაინტერესოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. მეტი ტურისტი გვყავდეს მუზეუმებში, რაც გაზრდის საკუთარ შემოსავალს.</p>
-------------------------------	---

მოსალოდნელი შედეგი	- მოსახლეობის ზრდა და ჩართულობა ცნობიერების ასამაღლებლად - მეტი ტურისტი რაც მუნიციპალიტეტის ცნობადობისთვის
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 15		315,0	320,0	320,0	325,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იმ სამუსიკო სკოლების გაერთიანება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით ააიპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, თეორიული, სიმებიანი (ვიოლინო), საესტრადო ვოკალი, ფოლკლორი (ხალხური საკრავები) საგუნდო და სხვა მიმართულებები. საერთო კონტიგენტი შეადგენს 303 მოსწავლეს. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 68 თანამშრომელს. ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.</p> <p>მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისთვის.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>- მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა</p> <p>- ღონისძიებებისა და ფესტივალების გამართვა და მონაწილეობა</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 05			75,0	65 ,0	65,0	65,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.</p>					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;</p>					

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2273,5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

სოციალური დაცვა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას



გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამა განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამებით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2253.5	2273.5	2293.5	2343.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	150.0	150.0	150.0	150.0
06 02	სოციალური დაცვა	1983.5	1973.5	1993.5	2013.5
06 02 01	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	260.0	260.0	260.0	260.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	165.0	165.0	165.0	165.0
06 02 03	ბავშვთა და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა	15.0	15.0	15.0	15.0
06 02 05	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება	30.0	30.0	30.0	30.0
06 02 06	ბავშვთა სამედიცინო - სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსება	10.0	10.0	10.0	10.0
06 02 07	სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	500.0	500.0	500.0	500.0
06 02 08	მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების და საანალიზო - ტექნიკური საშუალებების თანადაფინანსება	180.0	180.0	180.0	180.0
06 02 09	ა(ა)იპ სოციალურად დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაცია „მოქალაქეთა თანადგომის“ დაფინანსება	510.0	510.0	530.0	550.0
06 02 10	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება	11.0	11.0	11.0	11.0
06 02 11	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსება	1.5	1.5	1.5	1.5
06 02 12	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის თანადაფინანსება	50.0	40.0	40.0	40.0
06 02 13	უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 14	ხანდაზმულ პირთა დახმარება	1.0	1.0	1.0	1.0
06 02 15	ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმარება	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 16	ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 17	სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება	60.0	60.0	60.0	60.0
06 02 18	შშმ პირთა დახმარება დახმარება	30.0	30.0	30.0	30.0
06 02 19	უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის სწავლის საფასურის თანადაფინანსება	10.0	10.0	10.0	10.0

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	----------------------	---------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------



06 01		150,0	150,0	150,0	150
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური, ა.ა.ი.პ გურჯაანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური				
პროგრამის აღწერა	სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით;				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-სადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-სადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედეგა შედეგი ღონისძიებებისგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. <p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>				

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის, სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობას და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			06 02 01
ქვეპროგრამის დასახელება:	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?			



ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიური ბიუჯეტი	260.0	260.0	260.0	260.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის და დემოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესების ხელშეწყობა. . ქვეპროგრამის მოსრგებლე სამიზნე ჯგუფია გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. დახმარება გაიცემა მე-4 და ყოველ შემდეგ ბავშვზე თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახებზე დახმარება გაიცემა განცხადებით მიმართვის თვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვზე დახმარება ოჯახს შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს ოჯახი, თუ ბავშვი/ბავშვები იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე.			
მოსალოდნელი შედეგი	გაცემულია დახმარება 185 ოჯახზე			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალშობილთა ოჯახების დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიური ბიუჯეტი	165.0	165.0	165.0	165.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები	0	0	0	0
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და დემოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესების წახალისება. ქვეპროგრამის მოსარგებლეთა: ა) გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1 წლამდე ასაკის ბავშვი, ბ) ერთწლამდე ასაკის ბავშვი, რომლის ერთერთი მშობელი არის გურჯაანის			



	მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები დევნილის სტატუსის მქონე პირი. დახმარება გაიცემა ერთ ახალშობილზე 300 ლარის ოდენობით ერთჯერადად.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ბავშვთა და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	15.0	15.0	15.0	15.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია 0-1 წლამდე ასაკის ბავშვების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და იშვიათი დაავადებების მქონე პირებისათვის აუცილებელი საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი და დახმარების ოდენობა:</p> <p>ა) ერთი წლის ასაკის ჩათვლით ბავშვი, რომელიც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კახეთის რეგიონალურ ცენტრში დარეგისტრირებულია შესაბამისი პროგრამის მამდივლად და რომლის ოჯახი პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მომართვის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა. თანადაფინანსების ოდენობა თვეში 100 ლარი სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე.</p> <p>ბ) ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებული პირი. თანადაფინანსების წლიური ლიმიტი 3000 ლარი</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა და იშვიათი დაავადების მქონე პირთა საკვებზე ხელმისაწვდომობა			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			06 02 05
ქვეპროგრამის დასახელება:	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება		



არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალური ბიუჯეტი	30.0	30.0	30.0	30.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდაჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის მოსარგებლეა პირველადი საჭიროების მქონე :</p> <p>ა) ოჯახი, სადაც დაგეგმილია რეინტეგრაციის განხორციელება;</p> <p>ბ) ოჯახი, რომელიც ჩართულია რეინტეგრაციის პროგრამაში;</p> <p>გ) ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი;</p> <p>დ) ოჯახი, რომელშიც ცხოვრობს სამი ან მეტი ბავშვი;</p> <p>ე) ოჯახი, რომელიც განცხადების შემოტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 30 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა;</p> <p>კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის ღონისძიებები:</p> <p>1) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოწყვლადი ბავშვების და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით ოჯახის საკვები და ჰიგიენისათვის საჭირო ნივთები გაიცემა გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრებ ოჯახზე სოციალური მუშაკის მომართვის/დასკვნის საფუძველზე, პაკეტის ღირებულებ 200 ლარი</p> <p>2) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის დახმარება საყოფაცხოვრებო ნივთებით ((საწოლი, სკამი, მაგიდადა სხვა) ერთ ოჯახზე მაქსიმუმ 500 ლარის ფარგლებში</p> <p>3) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის დახმარება საყოფაცხოვრებო ტექნიკით ერთ ოჯახზე მაქსიმუმ 1000 ლარის ფარგლებში (მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა და სხვა).</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2022	2023	2024	2025
1) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოწყვლადი ბავშვების და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით ოჯახის საკვები და ჰიგიენისათვის საჭირო ნივთები	10.0	10.0	10.0	10.0
2) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის დახმარება საყოფაცხოვრებო ნივთებით ((საწოლი, სკამი, მაგიდადა სხვა)ერთ ოჯახზე მაქსიმუმ 500 ლარის ფარგლებში	15.0	15.0	15.0	15.0
3) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის დახმარება საყოფაცხოვრებო ტექნიკით ერთ ოჯახზე მაქსიმუმ 1000 ლარის ფარგლებში (მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა და სხვა).	5.0	5.0	5.0	5.0
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა			

პროგრამის დასახელება
რის ფარგლებშიც
ხორციელდება
ქვეპროგრამა:

სოციალური პროგრამა



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 06		
ქვეპროგრამის დასახელება:		ბავშვთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსება		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	10.0	10.0	10.0	10.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის მოსარგებლებები არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები:</p> <p>ა) 0-18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები (Q 90)</p> <p>ბ) 0 - 7 წლამდე აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები F 80-84</p> <p>გ) 0 - 7 ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები R62</p> <p>დ) 0- 18 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები G 80. სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდება თვეში 8 სეანსის თანადაფინანსება (სეანსის ღირებულება არაუმეტეს 30 ლარი) ბენეფიციარის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	500.0	500.0	500.0	500.0
სახელმწიფო ბიუჯეტი				



სხვა...				
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე (სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა, კლინიკო-ლაბორატორიული, ინსტრუმენტული, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები) ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა.</p> <p>ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ზე ნაკლები ქულის მქონე პირი.</p> <p>ბ) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილე;</p> <p>გ) დევნილის სტატუსის მქონე პირი;</p> <p>დ) ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირები</p> <p>თანადაფინანსების მოცულობა</p> <p>1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქმედი 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირების, მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილეთა და დევნილის სტატუსის მქონე პირების თანადაფინანსება (გარდა ონკოლოგიური დაავადების) განხორციელდება წელიწადში ერთხელ. თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს მომსახურების ღირებულების 50%-ს არა უმეტეს 700 ლარის (თუ ეს ხარჯები არ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების ან კერძო დაზღვევის მეშვეობით/ მხრიდან).</p> <p>2. პირის, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, თანადაფინანსება მოხდება შემდეგი წესის მიხედვით:</p> <p>1. თუ პირის მიერ გადასახდელი თანხა არ აღემატება 500 ლარს თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 50%-ს არა უმეტეს 100 ლარის;</p> <p>2. თუ პირის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს 501 ლარიდან 1000 ლარამდე თანადაფინანსების ოდენობაა 200 ლარი;</p> <p>3. თუ პირის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს 1001 ლარიდან 1500 ლარამდე თანადაფინანსების ოდენობაა 250 ლარი;</p> <p>4. თუ პირის მიერ გადასახდელი თანხა აღემატება 1501 ლარს თანადაფინანსების ოდენობაა 350 ლარი;</p> <p>პუნქტი 3. ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების წლიური ლიმიტი განსაზღვრულია 1000 ლარით. (თუ ეს ხარჯები არ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების ან კერძო დაზღვევის მეშვეობით/ მხრიდან).</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 08
ქვეპროგრამის დასახელება:	მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების და საანალიზო - ტექნიკური საშუალებების თანადაფინანსება			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალური ბიუჯეტი	180.0	180.0	180.0	180.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				



მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების და საანალიზო ტექნიკური საშუალებების შექმნაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 100 000-ზე ნაკლები ქულის მქონე პირი;</p> <p>ბ) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილე;</p> <p>გ) 0-18 წლამდე შშმ ბავშვი;</p> <p>დ) მთავრობის და გაფანტული სკლეროზით დაავადებული პირი</p> <p>ე) 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით, A-ტიპის დიაბეტით დაავადებული და თირკმლის დაავადების III-IV სტადიის მქონე ბავშვი;</p> <p>ვ) დევნილის ტატუსის მქონე პირი</p> <p>ზ) ონკოლოგიური დაავადების მქონე პირი. თანდაფინანსების მოცულობა:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 100 000-ზე ნაკლები ქულის მქონე პირის, და მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილის, დევნილის ტატუსის მქონე პირის და 0-18 წლამდე შშმ ბავშვის მედიკამენტების თანდაფინანსების (გარდა ონკოლოგიური დაავადების) განხორციელება მედიკამენტების ღირებულების 50%-ით არაუმეტეს 150 ლარისა წელიწადში ერთხელ.</p> <p>ბ) მთავრობის, გაფანტული სკლეროზით, 0-დან 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით, თირკმლის დაავადების III-IV სტადიის მქონე ბავშვის სამკურნალო მედიკამენტების და 18 წლამდე ასაკის A-ტიპის დიაბეტით დაავადებული ბავშვის საანალიზო ჩხირების თანდაფინანსების წლიური ლიმიტი შეადგენს 600 ლარს;</p> <p>გ) ონკოლოგიური დაავადების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანდაფინანსების წლიური ლიმიტი შეადგენს 300 ლარს;</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე და საანალიზო ტექნიკური საშუალებებზე ხელმისაწვდომობა			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 09
არის ქვეპროგრამა ახალი?	ა(ა) იმ სოციალურად დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაცია „ მოქალაქეთა თანადგომის " დაფინანსება			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა) იმ სოციალურად დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაცია „ მოქალაქეთა თანადგომა"			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	510.0	510.0	530.0	550.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000 -ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე პირები; 300 ბენეფიციარის უფასო კვება განხორციელდება კვირაში ექვსი დღე დღეში ერთხელ ადგილზე და/ან ბენეფიციარის საჭიროების შემთხვევაში ოჯახებში ადგილზე საკვების მიტანით საჭიროების შემთხვევაში პროგრამის</p>			



	განხორციელებას უზრუნველყოფს ა(ა) იპ „მოქალაქეთა თანადგომა“.
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკვებზე ხელმისაწვდომობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 10
ქვეპროგრამის დასახელება:	ომის მონაწილე ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა			
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალური ბიუჯეტი	11.0	11.0	11.0	11.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია: ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების პატივგება, საქართველოს კანონებით „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულება ქვეპროგრამის მოსარგებლები და დაფინანსების წესი : გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:</p> <p>ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) ბრძოლებში გარდაცვლილ მეზრძოლთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარი(გარდაცვლილის მშობელი, მეუღლე და/ან 0-18 წლამდე ასაკის შვილი) და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები. გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარი</p> <p>ბ) გარდაცვლილი ომის ვეტერანი. დაკრძალვის სარიტუალო ხარჯის თანადაფინანსება - 500 ლარი.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 11
ქვეპროგრამის დასახელება:	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსება			
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				



ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიური ბიუჯეტი	1.5	1.5	1.5	1.5
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
